



შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№16 (10.072)

13-20 მაისი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ფაშვიძე გამარჯვების 78 წლისთავი მიულოცავს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან, საკრებულოს განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან, მიხეილ ბახუტაშვილთან და თანამშრომლებთან ერთად მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, ნიკოლოზ შანშიაშვილს ეწვია და ფაშვიძე გამარჯვების 78 წლისთავი მიულოცა. მერმა მას სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშვიძე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 500 ლარს მიიღებენ. ნიკოლოზ შანშიაშვილი დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ასევე 250 ლარს მიიღებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მისი თანამშრომლებმა ნიკოლოზ შანშიაშვილს 100 წლის უსრულდება გამარჯვების დღეს ვულოცავთ მას და ყველა ვეტირანს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლას.



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის

მერს ახალი მოადგილე ჰყავს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ახალი მოადგილე ჰყავს. რამდენიმე თვეა, მერის პირველი მოადგილის სავარძელი ვაკანტურია. 11 მაისს ნიკოლოზ ჯანიაშვილმა თანამშრომლებს მერის პირველ მოადგილედ ბელა სამუშაოშვილი წარუდგინა. როგორც ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ახალი მოადგილის წარდგენისას განაცხადა:

„მას საჯარო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია აქვს. სასიამოვნოა, რომ ასეთი განათლებული და გამოცდილი კადრი უბრუნდება მშობლიურ მუნიციპალიტეტს“.

მინი დონია: გელა სამუშაოშვილი



დაიბადა 1975 წლის 2 დეკემბერს ქალაქ ნითელწყაროში. 1992 წელს დაამთავრა ჯაფარიძის საშუალო სკოლა, 1998 წელს კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი საინჟინრო გეოდეზიის სპეციალობით.

1999 წლიდან მუშაობდა USAID-ის მინის ბაზრის განვითარების პროექტში ჯერ სპეციალისტის, შემდეგ ოფის-მენეჯერის პოზიციაზე, 2002 წლიდან არასამთავრო ორგანიზაციაში „მინის მესაკუთრეთა უფლებების დაცვა“ მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტად და კახეთის რეგიონის კოორდინატორად. 2007 წელს მუშაობა დაიწყო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იყო კახეთის რეგიონალური კოორდინატორი, კახეთის რეგიონული ოფისის უფროსის მოადგილე, ჩართული იყო მინის სისტემური რეგისტრაციის პროექტში, სადაც იკავებდა საამბომველო ჯგუფების მენეჯერის პოსტს. 2022 წლის დეკემბრიდან ის დედოფლისწყაროს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის პოზიციაზე მუშაობდა.

როგორც გელა სამუშაოშვილი განუთხრო „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს, ის გააგრძელებს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე შეუწყობს ხელს დედოფლისწყაროს პოპულარიზაციის ტურიზმის კუთხით.

ახალი სტადიონი - ბავშვებს!

ზემო მარხაანს კიდევ ერთი საფეხბურთო მოედანი შეემატა. ადგილზე ჩასულებს მოედნისკენ მიმავალი ბავშვები შემოგვხვდნენ, ზოგიერთი ბურთით ხელში, ზოგს კი ველისიკლეტზე უმცროსი ასაკის დედამამშვილი შემოესვა და მოედნისკენ მიიჩქაროდნენ.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლების კითხვაზე, ხომ არ არის ეს მოედანი სოფლისგან მოშორებით, ამაზე ზემო მარხაანის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი ბიორბი იბრაჰიმბეგოვი გვპასუხობს, რომ ეს მხოლოდ გარე თვალისთვის ჩანს ასე, სინამდვილეში, აქ მჭიდროდ დასახლებული რამდენიმე უბანია, რომელთა მაცხოვრებლებიც საკმაოდ დაშორებულნი არიან სოფლის ცენტრს, სადაც მეორე საფეხბურთო მოედანია. „ამ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში იყო თვითნებური ნაგავსაყრელი. როდესაც მოედნის გაკეთება გადაწყდა, ეს ტერიტორია ჯერ გაიწმინდა, შემდეგ მინა მოიჭრა და ასე გაკეთდა მოედანი, რომელიც აქ მცხოვრები ბავშვები ძალიან კმაყოფილე-



ბი არიან. ყოველ საღამოს უამრავი ბავშვი იყრის თავს და თამაშობს“.

საფეხბურთო მოედნის კეთილმოწყობის მიზნით იგეგმება მიმდებარე ტერიტორიის განათების სამუშაოები და საპარკინგე სივრცის მოწყობა. პროექტი ასევე ითვალისწინებს მაციურებლებისთვის ადგილის გამოყოფის სამუშაოებსაც. სამშენებლო მასალა უკვე მიტანილია და უახლოეს მომავალში სოფელი თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სტადიონს მიიღებს.

ინგა შილაშვილი

გიორგი სარდალაშვილი მსოფლიოს ჩემპიონატზე

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

მსოფლიოს ჩემპიონატზე ძიუდოში, რომელიც 7 მაისს დოჰაში დაიწყო, სამთაყაროელი გიორგი სარდალაშვილი ბრინჯაოს მედალს დაუფლა. 19 წლის ძიუდოსტმა, რომლისთვისაც ეს პლანეტის პირველი პირველობა დიდებში, ბრინჯაოს მედალისთვის შეხვედრაში 10-წუთიან ბრძოლაში 3 გაფრთხილებით აჯობა ბელგიელ იორი ვერსტრატენს.

ბრინჯაოს მედალმდე, 60კგ. წონით კატეგორიაში, გიორგიმ ზამბიელი სიმონ ზული და ავსტრიელი მარკუს ოიერი დაამარცხა, მეოთხედფინალში კი ესპანელ ფრანსისკო გარიგოსთან თავად წააგო. ქართველმა რეპეშაში გადაინაცვლა, სადაც იპონით მოუგო ყაზახ ნურკანატ სერიკბაიევის, შესაბამისად, მედალისთვის ჭი-

დაობის შანსი მიიღო. დღეს ქართველი ძიუდოსტებიდან მხოლოდ სარდალაშვილმა იასპარეზა, მსოფლიოს ჩემპიონატი კი 14 მაისს ჩათვლით გაგრძელდება.



ფიროსმანის მასშტაბური გამოფენა ევროპაში

დედოფლისწყაროს სოფელ მირზანში მდებარე ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმიდან ფიროსმანის 1 ორიგინალი ნელინადახვერით ევროპის პრესტიჟულ გამოფენებზე გაიგზავნა. როგორც მუზეუმის მმართველმა დალი აბაშიძემ „შირაქს“ განუცხადა, მირზანიდან მხოლოდ 1 ნამუშევარი შეირჩა და ეს გახლავთ „სონა უკრავს გარმონს“.



4 მაისს დანიაში, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების მასშტაბური გამოფენა გაიხსნა. ლონისძიებას

საქართველოს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი, დანიის სამეფო ტახტის მემკვიდრე ფრედერიკი, დანიის სამეფოსა და ისლანდიაში საქართველოს ელჩი ნატა მენაბდე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის მოადგილე ნიკა ახალბედაშვილი, „ინფინიტარტის“ წარმომადგენლები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები ესწრებოდნენ.

ლონისძიებაზე აჩვენეს ფილმი ნიკო ფიროსმანის შემოქმედების შესახებ, რომელიც ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა მოამზადა. დამთავალიერებელი 20 აგვისტომდე ფიროსმანის 48 ნამუშევარს ნახავს, რომელთაგან 47 ნახატი მალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდს ეკუთვნის, ხოლო ერთი ნახატი შერჩეულია დედოფლისწყაროდან, მირზანის მუზეუმიდან. **დანიის შემდეგ, 2023 წლის 17 სექტემბრიდან 2024 წლის 28**

იანვრამდე, გამოფენას შევიცარია, კერძოდ, ბელიერის ფონდი უმასპინძლებს.

ეს პირველი და ისტორიული შემთხვევაა, როცა ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ მუზეუმში ფიროსმანის შემოქმედება ასე მასშტაბურად იქნება წარმოდგენილი. გასული წლის ივნისში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილის, ნიკა ახალბედაშვილის ზახელში ვიზიტისას გაიმართა მოლაპარაკებები ბელიერის ფონდის ხელმძღვანელთან, სამუელ კელერთან, და გადაწყდა, რომ 2023 წლის შემოდგომაზე ფიროსმანის ნამუშევრები ბელიერის ფონდში გამოიფინებოდა.

მარტში ბელიერის ფონდის სარესტავრაციო განყოფილების ხელმძღვანელმა მარკუს გროსმა ქართველ რესტავრატორებთან - ნანა მანაგაძესა და ნელი სოსანიძესთან ერთად დეტალურად შეამოწმა საქართველოს მუზეუმებში დაცული ფიროსმანის თითოეული ნახატი, შეაფასა მათი ამჟამინდელი მდგომარეობა და კონსერვაციის ტრანსპორტირებისთვის მოამზადა 48 ნახატი. გამოფენის გახსნამდე, უცხოელებისთვის მხატვრის შემოქმედების გაცნობის მიზნით, ლუიზიანას

მუზეუმმა სპეციალური მარკეტინგული კამპანია დაიწყო: ხუთი ნამუშევრის მონაწილეობით შეიქმნა ფილმი ფიროსმანის შესახებ, რამდენიმე კვირით ადრე, კონსერვაციის ქუჩებში გამოჩნდა სარეკლამო პლაკატები, ლუიზიანას მუზეუმის კლუბის 60 000 წევრისათვის მომზადდა პუბლიკაცია და დაიბეჭდა კატალოგი შესაბამისი ტირაჟით.

ნამუშევრები ტრანსპორტირებისთვის საერთაშორისო სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისად შეიფუთა, უვნებლად გაიგზავნა კონსერვაციის და ლუიზიანას მუზეუმში დაბინავდა.

ლუიზიანას მუზეუმში ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საგამოფენო სივრცეა, რომელსაც დიდი მრავალფეროვანი აუდიტორია ჰყავს. აქ თავმოყრილია ხელოვნების არაერთი ცნობილი და ძვირფასი ნიმუში. ლუიზიანას მუზეუმის კოლექცია 4000-მდე ექსპონატს ითვლის და, 1945 წლიდან მოყოლებული, ამ პერიოდის თითქმის ყველა ფანრის მხატვრობისა და ქანდაკების ნიმუშებს აერთიანებს. მუზეუმში დაცულია მარია მერსის, სოლ ლევიტის, გერჰარდ რიხტერის, როი ლიხტენშტაინის, ენდი უორჰოლის, რობერტ რაუსჩენბერგის, ალბერტო ჯაკომეტისა და სხვათა ნამუშევრები.

„ახალგაზრდული იდეა“ გამარჯვებული პროექტების განხორციელებას იწყებს

დედოფლისწყაროს ახალგაზრდულმა იდეამ 3 გამარჯვებული პროექტი გამოავლინა, რომელთაც დაფინანსება გადასცა. შემდეგ ეტაპზე გადასული 10 საპროექტო განაცხადიდან სამი საუკეთესო შეირჩა. „შეიცვალე მიდგომა“ - ნიკოლოზ რობიტაშვილი; „სუფთა გარემო ჩვენი ჯანმრთელობაა“ - თამარ ბენაშვილი; „ნარჩენების მართვა“ - ნატალი ბაცაცაშვილი. კომიტეტის წევრებმა საზეიმოდ გადასცეს თანხა ახალგაზრდებს და კიდევ ერთხელ გააცნეს მათი მოვალეობები. გამარჯვებული პროექტები ქალაქ დედოფლისწყაროს №1, ზემო მაჩხაანისა და სამრეკლოს სკოლებში განხორციელდება. ევროპის ფონდის დაფინანსებით „ახალგაზრდული იდეა“ დედოფლისწყაროში 2009 წლიდან მოქმედებს.

ანი ბოსტოლანაშვილი (პროგრამული მენეჯერი): „სანამ განაცხადების მიღება დაიწყებოდა, პროექტის შედგენის შესახებ ჩვენ თითქმის ყველა სკოლაში ვიყავით მისულეები, რადგან, რაც უფრო მეტი ბავშვი გაიგებდა და მეტი პროექტი შემოვიდოდა, ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა. ჩვენი მოლოდინები გამართლდა. იაქტიურეს, იშრომეს, გასაუბრებზეც მოვიდნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ პროექტი ჩვენამდე საუკეთესოდ მოეტანათ. დაფასებთ მათი შრომა და ვცდილობდით რომ ბევრი პროექტი დაგვეფინანსებინა, რადგან მოტივაცია მისცემოდათ და მეტი კარგი საქმე გაეკეთებინათ საკუთარი რაიონისთვის. სამწუხაროდ არ მოგვცეს ბევრი პროექტის დაფინანსების საშუალება და მხოლოდ სამი დაგაფინანსეთ. ეს სამი პროექტი იმით არის გამორჩეული, რომ ძალიან აქტიურად თემს ეხება და პროექტის ავტორებს ზუსტად ქონდათ განხორციელების მიზნები და აქტივობები. მაგრამ მომავალში აუცილებლად გაგრძელდება პროექტი „ახალგაზრდული იდეა“ მუდმივ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას და მათ აუცილებლად მიეცემათ გამარჯვების შანსი. აქ მუშაობა ჩვენთვისაც

საინტერესოა. 2022 წლის ზაფხულში შევავსე განაცხადების ფორმა, გავიარე გასაუბრება და შემარჩიეს. ვიყავით „ამბასადორები“ ტრენინგებზე და გავცანეს ჩვენი მოვალეობები და საქმიანობის დეტალები. ამ პროექტში ძალიან ბევრი ახალი მეგობარი შევიძინე. განვითარდი და მივიღე ცოდნა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მომავალში აუცილებლად გამოვიყენებ.“

გაზეთი „შირაქი“ გამარჯვებული პროექტების ავტორებს ესაუბრა და დეტალურად დაინტერესდა.

თამარ ბენაშვილი (ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა): „დამეთანხმებით, სუფთა გარემოში ცხოვრება ადამიანებისთვის მთავარი პრიორიტეტია. თუმცა, ყოველთვის გვგონია, რომ ეს ყველაფერი თავისთავად ვერ ვაანალიზებთ, რომ ჩვენი აქტიურობაც აუცილებელია. უცნაური არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სხვების მსგავსად ჩემი სოფელი ზემო მაჩხაანაც დანაგვიანებულია. ყოველთვის ვცდილობდი მცირე ნელიის შეტანას მის სისუფთავეში. დაახლოებით ერთი წლის წინ კამპანიები წამოვიწყე, რომლის ლიდერიც ვიყავი და ორ კვირაში ერთხელ, ჩემს გუნდლებთან ერთად, სხვადასხვა ტერიტორიებს ვასუფთავებდი. ამას დღემდე აქტიურად ვაგრძელებ, თუმცა, მოგვიანებით „ახალგაზრდული იდეის“ კონკურსის შესახებ გავიგე. გადავწყვიტე ნარჩენების მართვაზე დამეწერა პროექტი. მინდოდა ჩემს პროექტს სარგებელი მხოლოდ სუფთა გარემოში ცხოვრებით არ მოეტანა. მახსოვს, ვხედავდი ჩემი კლასელების მიერ დახეულ ქალაქებს, რომლებიც ნაგავს ურნაში იყრებოდა. წამიერად იდეაც დაიბადა-ამ ქალაქებისგან ახალი ნივთი შეგვექმნა! მოვიძიე ინტერნეტში ასეთი კომპანიები, რომლებიც ნარჩენებს ცვლიდნენ ქულებზე, უსბ სადენებზე... პროექტის ფარგლებში მიღებული დავინახებთ შევიძინეთ ურნებს ფრაქციული ჩასაყრელებით. აქედან 3 სოფლის ცენტრში, 3 კი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე



განთავსდება. რაც მთავარია, თითოეული სხვადასხვა ნარჩენისთვის იქნება განკუთვნილი- თუნუქის, პლასტმასის და ქალაქისთვის. ნარჩენებს შევარგებთ მოსწავლეები და ჩავაბარებთ შესაბამის კომპანიას, რომელიც გადაგვიცვლის ქულებში. ქულების დახმარებით შევიძინეთ ელექტრონულ რესურსებს სკოლისთვის და გავამდიდრებთ ჩვენს ბიბლიოთეკას. პროექტის განხორციელებისას მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან, სადაც მათ გავაცნობთ ინფორმაციას მეორადი ნარჩენების გადამამუშავებით მიღებულ სარგებელზე; კერძოდ, გარემოზე მის დადებით ზემოქმედებასა და ასევე ფინანსური სარგებლის მოტანაზე. ასევე დაიგეგმება სოფლის სხვადასხვა ტერიტორიების განმუშავება ნარჩენებისგან. სარგებელს მიიღებს ყველა ასაკის ადამიანი, ზოგი სუფთა გარემოში ცხოვრებით, ზოგი თანამედროვე ელექტრონულ რესურსზე ხელმისაწვდომობით. მაღლობას ვუზღი ორგანიზაცია „ახალგაზრდული იდეა“ ამ გამოცდილებისთვის და უდიდესი შესაძლებლობისთვის. ყოველთვის მქონდა იდეები, თუმცა ყველაფრის რეალიზება

არ შემეძლო. ახალგაზრდულმა იდეამ მომცა შესაძლებლობა და კიდევ ერთხელ დამანახა, რომ შეუძლებელი არაფერია და ყველაფერი „იდეიდან“ იწყება!“

ნატალი ბაცაცაშვილი (სამრეკლოს საჯარო სკოლა): „ჩვენი პროექტი სახელწოდებით „ნარჩენების მართვა“ დააფინანსა „ახალგაზრდული იდეამ“. პროექტის ფარგლებში და გადმოცემული ბიუჯეტით ვგეგმავთ სამრეკლოს საჯარო სკოლასთან არსებული ნაგავსაყრელის დასუფთავებას. დღეს, ჩემი აზრით, ყველაზე აქტიურად პრობლემას. სკოლასთან არსებული ნაგავსაყრელი მოქმედებს გარემომოყვითა ჯანმრთელობაზე. ეს ტერიტორია სკოლას არ ეკუთვნის, მაგრამ სკოლასთან ორ ნაბიჯშია, ყოველ დღე საშინელი სუნი დგას, ზაფხულის სეზონზე ძალიან ბევრი ბუზია და საშინელი სანახავია. ამიტომ, გადავწყვიტეთ დაგვეწერა პროექტი პრობლემის გადასაჭრელად. დიდ მადლობას გადავუხადი „ახალგაზრდული იდეას“, რადგან ასეთ კარგ შანსს აძლევს ახალგაზრდებს შეცვალონ გარემო უკეთესობისკენ.“

შურნალისტის როლი ზავშეება ზემო ქედის მოიხრბას

ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის VI კლასში კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილზე პედაგოგ ეკატერინე ჩიტაურის მიერ განხორციელდა პროექტი „როგორია იყო შურნალისტი და შექმნა პოდკასტი“. ბავშვებმა საინტერესო და განსხვავებული ნაშრომები წარმოადგინეს. საინტერესო რესპოდენტები, საინტერესო პასუხებით. ეკატერინე ჩიტაური: „კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ვასწავლი, ახლახან ვისწავლეთ სხვადასხვა აპლიკაციები, ეს თეორიული ცოდნა განვახორციელეთ პრაქტიკაში. პოდკასტის შექმნა, ერთი შეხვედით მარტივი, რეალობაში რთული აღმოჩნდა. ბავშვები რამდენიმე დუბლის ჩანერის შემდეგ გავიძინენ შედეგზე, საბოლოოდ კი ასეთი ჩანაწერები გამოვაქვეყნეთ სოციალურ ქსელში.“



ზოგმა კითხვას და თემას შესაბამისი გრაფიკული ფაილი შეუსაბამა და უფრო განსხვავებული და ეფექტური გამოვიდა. ჯერ დავეალათ რესპოდენტის შერჩევა, შემდეგ მათთან სასაუბრო თემის შერჩევა და ა.შ. ჩემი მოლოდინი ნამდვილად გამართლეს. ვინაიდან დიდი ინტერესით ადვენებდნენ თვალს ერთმანეთის ნაუშევრებს. ნახვის შემდეგ კი იმსჯელებს, თუ რას შეძლებენ უკეთესად და რა უნდა გაითვალისწინონ მომავალში. პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეთა მშობლები და ახლობლები, რაზეც მათ დიდი მადლობას ვუხდით. წარმატებებს ვუსურვებთ ჩემს მოსწავლეებს და სკოლას.“

გვერდი მოამზადა ილია მარტყოფილიძემ

იქედით... მომავლამდე...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თუ კი რამ სარეკრეაციო ზონა გაგახსენდებათ, მათ შორის აუცილებლად იქნება ხორნაბუჯის ციხე. ეპითეტი „ცა-დაზიდული“ ასე რომელიმე ციხეს უხდებოდეს და ზუსტად ერგებოდეს, იშვიათად მინახავს.

სწორედ ამ ცადაზიდული, უძველესი ციხისკენ მიმავალ გზაზე სულ ცოტა ხნის წინ რომ გაგველოთ, ალბათ, იმდენი დრო დაგჭირდებოდათ დანიშნულების ადგილზე მისასვლელად, რომ შუა გზიდან მობრუნების სურვილი ნამდვილად გაძლევდათ.

რა სიგუასია ახლა?

დღევანდელი მდგომარეობით, ციხე-ქალაქამდე ჩასვლას დედოფლისწყაროს ცენტრიდან, სულ რამდენიმე წუთში შეძლებთ. ამ გზის გავლაში კი უკვე დაწყებული და თითქმის დასრულებული ბეტონის გზის საფარი დაგეხმარებათ,



მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთში შეგხვდებით მოხრეშილი გზა, თუმცა არ დაბრკოლდით: მოხრეშილი გზის შემდეგ, ძალიან მალე, ისევ ბეტონის გზა გრძელდება და ციხემდე მსუბუქი მანქანით თავისუფლად მიხვალთ.

რა დაგხვდებათ ჩასვლას?

აღნიშნულ ტერიტორიაზე უახლოეს პერიოდში ევროკავშირის ჩართულობით ინფრასტრუქტურის მოწყობა იგეგმება. მუშების მუდმივი მიმოსვლა, სამუშაოებისთვის გამზადებული სამშენებლო მასალები, უკვე მოწყობილი და მოპირკეთებული რამდენიმე გადასახედი, ბილიკი და ფანჯატურები, რომლებიც არსებული გარემოდან თუ ვიმსჯელებთ, მალე დასრულდება. მოხრეშილი გზიდან ტყისკენ რომ გადაუხვევთ და ციხეს ზემოთ და ზემოთ აუყვებით, უმაღლესი იგრძობთ სივრცის, ნესტის, ტყის, ახლადამოსული ბალახის, კლდეებთან შეზრდილი ხვია-რების, ყაყაჩოებისა და კიდევ იმ უამრავი ტყის ყვავილის სურნელს - ასე რომ ახასიათებს გაზაფხულს და ნებისმიერ



დამთვალეობებს სიხარულით ავსებს. ამას თუ ისიც დაემატა, რომ თქვენს თავს ზემოთ ციხის ქონგურების „მოდა-რაჯე“ ორბი გამოჩნდა, მთლად სასიხარულოდ გქონიათ საქმე. ამის ნახვა, დამიჯერეთ, ერთ რამედ ღირს. მოკლედ, აქ ყველაფერი სამუშაო პროცესშია და დასრულების შემდეგ სტუმრების გულს უფრო მეტად გაახარებს.

რა იქნება მომავალი?

პროექტი, რომელიც საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 4,823,356 ლარს შეადგენს, მომავალში გეპირდება: ძველამდე მისასვლელი გზისა და გადასახედის, ასევე ტურისტული საფეხმავლო ბილიკების, საპარკინგე და საპიკნიკე ადგილების მოწყობას. მომავალში, ისტორიული ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი განახლებული ტურისტული ინფრასტრუქტურით მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორთა ნაკადს დედოფლისწყაროს მიმართულებით, რაც ად-

გილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე დადებითად აისახება.

მომავალში...

მომავალამდე, რომელიც ამ სარეკრეაციო ზონის დასასრულს შეაჯამებს, ჯერ კიდევ შორი მანძილია გასავლელი, მაგრამ სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. იმედია, ყველაფერი მაქსიმალური სტანდარტების დაცვითა და ბუნებასთან მაქსიმალური ჰარმონიზაციით წარიმართება და დედოფლისწყაროელებს (და არამარტო) ექნებათ ადგილი, სადაც გაზაფხულის სურნელის შესაგრძობად თუ ზაფხულის ხვატისგან დაქანცულებს მისვლა და დასვენება, კვლევა-ძიება, მონატრებული სამეგობროსა და ახლობლების მონახულება, თუნდაც ძველი დიდების გახსენების საშუალება მიეცემათ. იმედი, ყველაზე მაგარი რამაა, ალბათ, სამყაროში ყველაზე ძლიერი რამ.

სწორედ ამ იმედით...

მომავალში...

შუაშუნა ყანაშვილი

10 საუკეთესო ღვინის რეგიონი, რომელსაც 2023 წელს უნდა ესტუმრო - ტოპ ათეულში საქართველო პირველ ადგილს იკავებს.

სტატუსს ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი უდიდესი ღვინის ციფრული პლატფორმა VinePair აქვეყნებს. გამოცემა მკითხველს საქართველოში მოგზაურობას და კახეთში ღვინის დაგემოვნებას ურჩევს.

საუკეთესო მიმართულებად საქართველოსთან ერთად საფრანგეთი, პორტუგალია, პერუ, იტალია, ესპანე-

კახეთი-წლის საუკეთესო ღვინის მიმართულება

თი, ხორვატია, ახალი ზელანდია, კალიფორნია და ტეხასი დასახელდა.

„ღვინის მომზადების უძველესი ტექნიკა საქართველოში იღებს სათავეს. ამიტომ სულ არ არის გასაკვირი, რომ ახლა საქართველო ღვინის პოპულარული რეგიონია. ღვინის წარმოების 8 ათასწლოვანი ისტორიით საქართველო ღვინის სამშობლოდ არის მიჩნეული. დღეს ქართული ღვინო სწრაფად ხდება პოპულარული და ექსპორტი ყოველწლიურად რეკორ-

დულად იზრდება. ეს ხელს უწყობს საქართველოს პოპულარიზაციას, ტურისტულ ბუმს და ეკონომიკის გაზრდას. ამიტომ, თუ ხართ სასმელების მოყვარული, დაჯავშნეთ თქვენი მოგზაურობა საქართველოში“-წერს გამოცემის მიმომხილველი ჰანა სტაბი.

„ღვინოში ჩასაძირად კახეთზე უკეთესი რეგიონი არ არსებობს. ეს საქართველოში ღვინის წარმოების საუკეთესო რეგიონია. თბილისიდან ერთი საათის სავალზე მდებარე რე-

გიონში საუკეთესო ყურძნის ჯიშები, მათ შორისაა: საფრანგული და რქანთიული. ღვინის ფერმენტაცია თიხის ჭურჭელში, ქვევრში ხდება. ეს ტრადიცია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შესული“-წერს ჰანა სტაბი.

სტატიაში კახეთის მარნები, ღვინის ქარხნები და მუზეუმები მიმოხილული. მათ შორისაა წინანდლის მუზეუმიც. VinePair-ის ცნობით წინანდლის მამულში სტუმრებს ვენახებთან ერთად შეუძლიათ დაათვალიერონ 1814 წელს გამოშვებული 15000 ბოთლი ღვინო.

„ქარგვის დროს ადამიანის განწყობა და ხასიათი მნიშვნელოვანია“

...როცა მუშები მოფრინდებიან, ისინი ნემსის წვერზე სხდებიან და ავტორს ქარგვას „აიძულებენ“. ხუთი წელია, **ლია მაისურაძე-გონაშვილი** ამ მუშათა ტყვეა და ნემსისა და ძაფის წყალობით ულამაზეს ნამუშევრებს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ თვითნასწავლი ხელოვანია, მისი ნამუშევრების ხილვისას, დახვეწილი ტექნიკა ავტორის ნიჭიერებასა და მდიდარ წარმოსახვით უნარზე მეტყველებს.

2 მაისს ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ფოიემ მის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა. გამოფენაზე ავტორის 40-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ლია მაისურაძე გაზეთ „შირაქთან“ ამბობს, რომ ქარგვამ საკუთარი თავი აპოვნინა.

„ქარგვამ სულიერი სიმშვიდე მომიტანა, სულ ვფიქრობ, დარჩენილი ცხო-

ვრება თუ მეყოფა საიმისოდ, რომ ამ საქმეში ბოლომდე დავიხარჯო. მთელი ცხოვრება ჩემს თავს ვეძებდი, უკმარისობის განცდა მქონდა. დღეს შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მივავენი და ეს საქმე ქარგვა ყოფილა.“

ქარგვა 5 წლის წინ შემოვიდა მის ცხოვრებაში, სრულიად მოულოდნელად. მანამდე კი იყო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და ზუსტი მეცნიერების შესწავლის გრძელი გზა. „1980 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გამოთვლითი ტექნიკის სპეციალობით დავამთავრე. პროფესიად ზუსტი მეცნიერება ავირჩიე, ხელოვნებასთან შეხება არ მქონია, ტექნიკური მიმართულებით ნავედი. ამიტომაც ჩემი ჯგუფელები ახლა გაკვირვებულები არიან, ეს შესაძლებლობები თუ გქონდა, აქამდე სად იყავიო. დაოჯახების შემდეგ საცხოვრე-

ბლად სოფელ არბოშიკში გადმოვედი. სკოლის ორგანიზატორად და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 10 წელი ვიმუშავე.

– თქვენი გამოფენა რომ ვნახეთ, ჩვენი თანამშრომლის წლების წინ ნათქვამი ფრაზა გაგვახსენდა, როცა ის არბოშიკის საჯარო სკოლაში თქვენი ორგანიზებით გამართულ ღონისძიებას დაესწრო. „ლიას ღონისძიებები ყოველთვის გამოირჩევა განსხვავებული ხელნერით, გამორჩეული ინდივიდუალიზმითა და შემოქმედებითი აზროვნებით“. ამიტომ ჩვენთვის თქვენი კავშირი ხელოვნებასთან მოულოდნელი არ ყოფილა...“

– დიახ, სწორედ სკოლაში მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობა მქონდა. საინტერესო ღონისძიებებს ვატარებდი, სცენარებსაც თავად ვწერდი. ასე გადავიხარე ტექნიკური მიმართულებიდან – ხელოვნებისკენ. შემდეგ ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში დავინყე მუშაობა და ამან უფრო დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. კულტურის სახლში სხვა გარემო იყო, უამრავი თავისუფალი დრო მქონდა და ამ ყველაფერმა ხელი შემინყა, განმევიითარებინა შემოქმედებითი უნარები. მასალებს თბილისში თავად ვყიდულობ სხვადასხვა ფერის მულინეს ძაფებს, ლენტებს...

– საიდან გაჩნდა ინტერესი ქარგვისადმი?

– 5 წლის წინ სრულიად შემთხვევით დავინტერესდი. ჩემი თანამშრომე-

ლი, მხატვარი სოფო კირვალიძე ხშირად ქარგავდა. მას ვაკვირდებოდი ხოლმე. მეც ძალიან მომიწონდა, სწორედ მან მომიცა სტიმული და მიჩნია, მეცადა. რაღაცნაირად დავინყე და ნელ-ნელა განვაფითარე. ალბათ ღმერთის ნება იყო, რომ ჩემთვის ეს ძალა მოეცა. ვქარგავ წვრილი ძაფით. ამ ტექნიკას „მხატვრული ქარგვა“ ჰქვია, ანუ ხატვა ნემსით და ძაფით, რომელიც საკმაოდ რთულია.

– რა არის ნამუშევრის შექმნის ინსპირაციის წყარო და როგორია ქმნადობის პროცესი?

– ამას ვერ აღვწერ ასე მარტივად. იდეა რომ გაჩნდება, ჯერ თავში ვამუშავებ, შემდეგ გადადის ნაჭერზე და ვცდილობ, ჩემი დეტალები შევიტანო. თუნდაც პეიზაჟის მოქარგვისას, ყველა დეტალს ვუკირკიტებ. შემიძლია, მთელი დღე ვიჯდე და არ დავილალო, პირიქით, საშუალოდ მაგამომდებს ეს საქმი. ზოგიერთ ნამუშევარს წელიწადზე მეტი მოვანდომე, ზოგს 5-6 თვე. როცა საშუალო საქმიანი მაქვს და ვერ ვახერხებ, უნდა ნახოთ, ამ დროს რა ხდება. ვცდილობ, საქმი მაღა დავაამთავრო, რომ დაავჯდე. შემოქმედებით პროცესში საოცარ ნებართვას ვგრძნობ.

ზოგჯერ დამთენებია ქარგვაში, ყოფილა შემთხვევა ფერთა შეხამება, პროპორციები, ან რაიმე დეტალი არ მომწონებია და ისევ დამირღვევია. სანამ თვალი მიჭრის და ხელი მემორჩილება, ალბათ ამ საქმეს ვეღარ შევეშვები.

/გავრძელება გვ.8/



კუნძულ ტექსელზე ქართველი ჯარისკაცების სოფლის უკვდავსაყოფად მემორიალი გაიხსნა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2023 წლის 4 მაისი ისტორიული დღე აღმოჩნდა ქართული ემიგრაციისთვის. ნიდერლანდების სამეფოში, კერძოდ კუნძულ ტექსელზე გაიმართა ტექსელის ქართველთა სასაფლაოზე მემორიალური დაფის გახსნის ცერემონია. ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენის სათავეში ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელი, ცნობილი ბიზნესმენი, კულტურის მოღვაწე და ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი გამორჩეული სახე, თიკა სვანიძე-ვენკო დგას. სწორედ მისი ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, რამდენიმეწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად, შესაძლებელი გახდა მემორიალის გახსნა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ტექსელის მოვლენების მკვლევრის, ისტორიკოს სულხან ამირანაშვილის წვლილი. ის წლების მანძილზე მუშაობდა აღნიშნულ საკითხებზე, ადგენდა და

შორის იდენტიფიცირებული ათამდე ჯარისკაცი დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. დალუპულთა სიაში არიან ებრაული წარმოშობის ჯარისკაცები. ეს ინფორმაცია დადასტურდა კუნძულ ტექსელის ქართველთა აჯანყების სარქივო მასალებზე დაყრდნობით. მემორიალის დიზაინის ავტორია ბელგიის სამეფოში მოღვაწე ცნობილი მოქანდაკე, რესტავრატორი დავით (დევი) ხმალაძე. ის წლებია, ხელმძღვანელობს მულტიდისციპლინურ სახელოვნებო სივრცეს „Atelierdevka“, რომელიც ბელგიის სამეფოში ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმოჩენასა და პოპულარიზაციას ემსახურება. დევი ხმალაძე მუშაობს მოქანდაკე-რესტავრატორად ბელგიის სამეფოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სარესტავრაციო კომპანია- „მონუმენტში“, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენისა და რესტავრაციის მიმართულებით. მის მიერ შექმნილი ტექსელის მემორიალის დიზაინი ნი-



ბატონმა დავით ფაცაცამ; საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯალმაიძემ;

ნიდერლანდების სამეფოში ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელმა, ქალბატონმა თინათინ სვანიძე-ვენკომ ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე, მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანების პასუხისმგებლობაზე კაცობრიობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე;

ქართველ ებრაელთა მსოფლიო რაბინმა, ბატონმა იაკობ გაგულაშვილმა.

ტექსელის ქართველთა აჯანყების დროს დალუპულ მეომართა ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი გადაიხადა საქართველოს საპატრიარქოს ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა მიუფე დოსითეოზმა.

ართველთა აჯანყების დროს გარდაცვლილ ქართველ ებრაელთა სულის მოსახსენებელი „აშკავას“ და „კადიშის“ ლოცვები წაიკითხა ქართველ ებრაელთა მსოფლიო რაბინმა, იერუსალიმისა და აშდოდის მთავარმა რელიგიურმა მოსამართლემ, ბატონმა იაკობ გაგულაშვილმა.

მემორიალის გახსნის ცერემონიაზე იმყოფებოდნენ საერთაშორისო დელეგაციების, ორგანიზაციების, ფონდებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლები - საქართველოს სამხედრო ატამე საფრანგეთის რესპუბლიკაში, პოლკოვნიკი ვასილ კოპეიკინი; ორგანიზაცია „საქართველოს ვეტერანების ამერიკელი მეგობრების“ დამფუძნებელი, ბატონი ნიკოლოზ ქარჩავა.

ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელმა, ქალბატონმა თინათინ სვანიძე-ვენკომ ქართული დიასპორისთვის განეული უმნიშვნელოვანესი თანადგომისათვის ქართული კულტურის ცენტრის სახელით ჯილდო გადასცა კუნძულ ტექსელის მერს, ბატონ მისილ აუთდენჰაგს, ასევე ტექსელის მუნიციპალიტეტის

წარმომადგენელს, ბატონ მარტინ ვან დაალენს.

მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართული დიასპორებისა და დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან, საბერძნეთიდან.

„მემორიალზე ტექსელის აჯანყებაში გარდაცვლილი მეომრების გვარებია ამოტვიფრული. უამრავი წელი შევალე, მათი სიის დაზუსტებას, პირუთენელი ისტორიული მასალის მოზადებას. მომიწია, როგორც ჰოლანდიურ, ასევე საქართველოში არსებულ საარქივო მასალებზე მუშაობა. გარდა ამისა, ვხვდებოდი აჯანყებაში მონაწილე გადარჩენილ მეომრებს, მათ ახლობლებს, ასე სრულად დავადგინე დალუპული მეომრების მონაცემები“, - განაცხადა ტექსელის მოვლენების მკვლევარმა, ბატონმა სულხან ამირანაშვილმა.

ტექსელის აჯანყება მნიშვნელოვანი მოვლენაა მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ნიდერლანდებში მყოფი ქართველი მეომრები გერმანიის ჯარებმა ჯერ დაატყვევეს და შემდეგ, 19 თვის განმავლობაში, მათ რიგებში მსახურება აიძულეს. ქართველმა მეომრებმა ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე დაგეგმილი აჯანყება წამოიწყეს, რადგან სხვა გამოსავალი უბრალოდ არ ჰქონდათ. ბრძოლა იყო სამკვდრო-სასიცოცხლო და თანაც უთანასწორო. გერმანელები რაოდენობით სამჯერ აღემატებოდნენ ქართველებს. ქართველი მეომრები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელთა ჯარს, რის შედეგადაც, სამწუხაროდ, 513 ქართველი მეომარი დაიღუპა. ისინი განისვენებენ კუნძულ ტექსელის ერთ-ერთ უღამაზეს ადგილას, კაპიტან შალვა ლოლაძის სახელობის ძმათა სასაფლაოზე.



აზუსტებდა აჯანყების მონაწილეთა სიებს.

პროექტი - „ტექსელის ქართველთა სასაფლაოზე მემორიალის დადგმა“ - განხორციელდა ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის ორგანიზებით, კუნძულ ტექსელის მერიასთან და ნიდერლანდების სამეფოს თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

1945 წელს კუნძულ ტექსელზე ქართველთა აჯანყების დროს დალუპული ჯარისკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალზე ამოტვიფრულია ტექსელის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალული ქართველი ჯარისკაცების გვარსახელები. მათი გარკვეული ნაწილის ვინაობა დღემდე უცნობი იყო.

აღსანიშნავია, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა ქართველებთან ერთად თავის მოვალეობად ჩაუთვლიათ სხვადასხვა ერის შვილებს. ტექსელის ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალულ მეგრძოლთა

დერლანდური მხარის მიერ ერთხმად იქნა მოწონებული და დამტკიცებული.

მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ კუნძულ ტექსელი მერი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მედია საშუალებების წარმომადგენლები.

გახსნის ცერემონიაზე დამსწრე სტუმრებს სიტყვით მიმართეს:

***კუნძულ ტექსელის მერმა, ბატონმა მისილ აუთდენჰაგმა;**

***საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ვლადიმერ კონსტანტინიძემ, რომელმაც ისაუბრა პროექტის ისტორიულ მნიშვნელობაზე;**

***აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საჭეს თავმჯდომარემ, ბატონმა ჯემალ გამახარამ;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ბატონმა რუსლან აბაშიძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა,

საქართველოს დელეგაციამ გიორგობა კახში იზეიმა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ტრადიციულად ამკვიდრებს გიორგობის დღესასწაულების კახის რაიონში აღნიშვნას.

6 მაისს, დღესასწაულთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის კახის რაიონში დელეგაცია გაემგზავრა, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს საპატრიარქოს, პარლამენტის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები გაემგზავრნენ. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითი მმართველი, მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), მღვდელი პეტრე ხუმარაშვილი და საპატრიარქოს წარმომადგენლები, მათ შორის, მგალობლები, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყაძე და სააგენტოს თანამშრომლები, პარლამენტის წევრი გურამ მაჭარაშვილი, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე კახეთში, გივი მერტრეველი, ლაგოდეხის საკრებულოს თავმჯდომარე, კარლო ჯამბურია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და სხვები. დელეგაციის წევრები კახის რაიონის წმინდა

გიორგობა კერეთში



გიორგის სახელობის ტაძარს ეწვივნენ, სადაც სადღესასწაულო წირვა მიტროპოლიტმა თეოდორემ და კახის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა პეტრე ხუმარაშვილმა აღავლინეს. წირვის დასრულების შემდგომ, მართლმადიდებელ მრევლს რელიგიის სააგენტოს ჩატანილი 50 ერთეული ბიბლია დაურიგდა.

შემდეგ დელეგაციის წევრები ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს ეწვივნენ, სადაც პარაკლისი ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) გადაიხადა.

ისტორიულ მხარეში გიორგობას განსაკუთრებით ზეიმობენ. შეგახსენებთ, საქართველო-აზერბაიჯანის შორის მიმოსვლა 1 მაისიდან უნდა აღდგენილიყო, მაგრამ კოვიდის ახალი შტამის გამო საზღვარი 1 ივლისამდე არ გაიხსნება. ქართველ მომლოცველებს წელსაც არ მიეცათ საზღვარზე გადასვლისა და ქრისტიანული ტაძრების მონახულების შესაძლებლობა.

„ქარავის დროს ადამიანის განწყობა და ხასიათი მნიშვნელოვანია“



/დასაწყისი გვ.4/

ადამიანის განწყობა და ხასიათი ნამდვილად მნიშვნელოვანია ქარავის დროს. როცა განწყობა მაქვს და ვერ ვახერხებ დაჯდომას, თუ გადავდე და მოგვიანებით დავინეყ ქარგვა, ამ დროს ჩანაფიქრის აღდგენა თავიდან მომიხერხება და შეიძლება ისეთი შედეგი ვეღარ მივიღო, რადგან აზრი გამიწყდა. „მუზა“ თუ არ არის, ვერ ვიმუშავებ. ხასხასა, მკვეთრი ფერები არ მომწონს, რაც ბუნებაშია, იმ ფერებს ვიყენებ.

ამ დროისთვის 40-მდე ნამუშევარი შექმენი, ყველა მათგანი არ გამომიტანია გამოფენაზე. ეს პირველი პერსონალური გამოფენაა, მანამდე გასულ ზაფხულს თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მქონდა ნაღებული, თუმცა იქ სულ რამდენიმე ნამუშევარი გავიტანე, არასრული გამოფენა იყო, ახლა კი მთელი შემოქმედება გამოვიტანე.

– ფიქრობთ თუ არა თქვენი ნამუშევრების გაყიდვაზე და თუ არიან მისი შეძენის მსურველები?




– ვერც გავყიდი და ვერც გავაჩუქებ! თითოეულ ნამუშევარში იმხელა სიყვარული, შრომა და

განწყობა მაქვს ჩადებული, საკუთარი შვილივით მიყვარს და ვერ ვიმეტებ, დათმობა მიჭირს. ყველას თავისი ისტორია აქვს, სახლში მაქვს კედლებზე გამოფენილი, თანდათან ემატება. ჯერჯერობით ეტევა, როცა ვეღარ დავტევი, ალბათ საგამოფენო სივრცის შექმნაზე ვიფიქრებ, შემდეგ კი შვილებს დავუტოვებ

სახსოვრად.

– თქვენს ნამუშევრებში იგრძნობა აფხაზეთის ნოსტალგია...

– აფხაზეთში გავიზარდე, გუდაუთის ილია ჭავჭავაძის სახელობის №3 ქართული სკოლა დავამთავრე. გვქონდა ძალიან ლამაზი კერძო სახლი, წინ მთები, უკან ზღვა, საოცრად ლამაზი ეზო, მანდარინის ბაღი, ვენახი ეზოში და დიდი მიმოზის ხე. საოცრად ლალი ბავშვობა მქონდა, ვუყურებდი ამ სილამაზეს და ჩემში ეს დაილექა. ფოტოებიც კი არ დამრჩა, მაგრამ კარგად მახსოვს ჩემი სახლის კიბე, საიდანაც ულამაზესი ხედი იშლებოდა. აფხაზეთიდან სკოლის დამთავრების შემდეგ, სტუდენტობის გამო გადავედი თბილისში, ჩემი მშობლები ომამდე იქ დარჩნენ. რაც ასაკში შევედივარ, სულ უფრო მენატრება ჩემი ბავშვობის სახლი, რომელიც შორეულ აფხაზეთში დარჩა. აბოოქრებული ზღვა, გუდაუთის მთები და ზღაპრული გარემო. იქ ბოლოს 1989 წელს ვიყავი, უკვე დაწყებული იყო დაპირისპირება. ახლმობილთან და მეუღლესთან ერთად ჩავედი, მაგრამ აგრესია იგრძნობოდა და მეორე დილასვე უკან გამოვბრუნდი. მას მერე აღარ ვყოფილვარ ჩემს მიწაზე. ვვოცნებობ, ოჯახთან ერთად ჩავიდე აფხაზეთში და ვთქვა: „ამ ლამაზ კუთხეში დავიბადე, ჩვენ დავბრუნდით! აფხაზეთი საქართველოა!“



ულამაზეს ფერთა გამო, 3D ვიზუალიზაციის ნამუშევრები ხან ხორნაბუჯის ციხის დიდებულებას განგაცდევინებს, ხან კი აფხაზეთში გამოგზაურებს და სევდის მორევში ჩაგითრევს. დახვეწილი ტექნიკის ნყალობით ღია მათხურადის ნაქარგებს სხვა, ლამაზ და ფერად სამყაროში გადააჰყავხარ, სადაც ზღაპრის სიუჟეტები და პერსონაჟები გამაჰინდობენ და რეალური სამყაროსგან განსხვავებით, ანგელოზები და კეთილი ფერიები სჭარბობენ.

გაზეთ „შირაქის“ სახელით ვულოცავთ ქალბატონ ლიას პერსონალურ გამოფენას და წარმატებებს ვუსურვებთ. კიდევ დიდხანს სტუმრობდნენ მუზეუმს და შემოქმედებითი პროცესით ტკობაც ხანგრძლივად განეცადოს.

ინგა შიოლაშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

პატარა ელენეს დახმარება ესაჭიროება!

პატარა ელენე ჩემიას დახმარება სჭირდება – მას მეორადი სიმსივნე - ლეიკემია დაუდასტურდა. კეთილი ადამიანების თანადგომით ელენიკო გასულ კვირას სამკურნალოდ საფრანგეთში გაემგზავრა, თუმცა შეგროვილი თანხა საკმარისი არ არის. ხუთშვილიან ოჯახს ბავშვის გამოჯანმრთელებისთვის საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება.

დახმარების მსურველებს თანხის ჩარიცხვა შეუძლიათ შემდეგ ანგარიშებზე:
GE17TB7156845064300042 მიმღები: დიმიტრი ჩემია (მამა)
GE94BG000000101075543 ნინო ბურდული (დედა).



ევროპის დღეები მუზეუმში

ევროპის დღეებთან დაკავშირებით, ქ. თბილისში მოქმედმა ჩეხეთის კულტურის ცენტრმა, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენა მოაწყო. მუზეუმში დამთვალიერებლებს კვირის განმავლობაში უმასპინძლებს.

ა მ ი ნ დ ი				დ ე დ ო ფ				ლ ი ს წ ყ ა რ ო			
ორშაბათი 15.05	სამშაბათი 16.05	ოთხშაბათი 17.05	ხუთშაბათი 18.05	პარასკევი 19.05	შაბათი 20.05	კვირა 21.05					
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
15°	8°	18°	8°	21°	10°	23°	12°	24°	12°	24°	13°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჭანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბინაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინა ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანძაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი